



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030419003724220

№ 04-301/ო

12 / ივნისი / 2020 წ.

**„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის
ზედამხედველობის/კონტროლის განხორციელების დროებითი ღონისძიებების
განსაზღვრის თაობაზე“ სააგენტოს 2019 წლის 11 ივლისის N04-1355/ო ბრძანების
ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ზედამხედველობის/კონტროლის განხორციელების დროებითი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე“ სააგენტოს 2019 წლის 11 ივლისის N04-1355/ო ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების არამუდმივი ხასიათიდან გამომდინარე, აგრეთვე, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედი საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისადმი სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის 2020 წლის 29 მაისის N04-4543 მოხსენებითი ბარათისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის №01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სააგენტოს 2019 წლის 11 ივლისის N04-1355/ო ბრძანება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ზედამხედველობის/კონტროლის განხორციელების დროებითი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე“.
2. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) და დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი), კომპეტენციის შესაბამისად, უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების ხელმისაწვდომობა სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის გაგზავნის და მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებებისათვის სააგენტოს ვებ-გვერდზე, ხელმოწერისთანავე, საჯაროდ განთავსების გზით.
3. ბრძანების შესრულების კოორდინაცია განახორციელოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, თინათინ აბალაძემ.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2020 წლის 21 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სასარჩელო განცხადებით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64), მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

